უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 20 0000882631

23/09/2020

შპს უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმში (ს/კ:204379083) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 23 სექტემბრის სხდომის ოქმი MES 1 20 0000881557 და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
სხირტლაძე ნუგზარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ